

ჯანმრთელობის მეცნიერებების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის საგანმანათლებლო კომპონენტების (კურსების) შესახებ

1. შეფასების სისტემები

- 1.1. უნივერსიტეტში მოქმედებს 100 ქულიანი (100%-იანი) შეფასების სისტემა.
- 1.2. კომპონენტი დაძლეულია 51 ქულის (51%) მიღების შემთხვევაში.
- 1.3. შეფასების სისტემა შეიძლება იყოს:

1.3.1. საბაკალავრო მოდელის შეფასება

#	შეფასების კომპონენტი	მაქსიმალური შეფასება
1	ყოველკვირეული შეფასება (ქვიზი)	36 ქულა
2	რეფერატი ან სხვა აქტივობა, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს პრეზენტაციას	10 ქულა
3	შუალედური გამოცდა	24 ქულა
4	დასკვნითი გამოცდა	30 ქულა

1.3.2. სამაგისტრო მოდელის შეფასება

#	შეფასების კომპონენტი	მაქსიმალური შეფასება
1	ყოველკვირეული შეფასება (ქვიზი)	24 ქულა
2	რეფერატი ან სხვა აქტივობა, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს პრეზენტაციას	16 ქულა
3	შუალედური გამოცდა	25 ქულა
4	დასკვნითი გამოცდა	35 ქულა

1.3.3. კურაციული კურსის შეფასება

#	შეფასების კომპონენტი	მაქსიმალური შეფასება
1	ყოველდღიური შეფასება შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე შეფასების კომპონენტისგან (წერიტი ქვიზი, ზეპირი გამოკითხვა, პრაქტიკული მუშაობის შეფასება და ა.შ.)	50 ქულა
2	რეფერატი ან სხვა აქტივობა, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს პრეზენტაციას	20 ქულა
3	დასკვნითი გამოცდა	30 ქულა

- 1.4. კომპონენტების შეფასებისას ქულების გადანაწილების განსხვავებულ წესს სკოლის საბჭოს შუამდგომლობით განსაზღვრავს აკადემიური საბჭო.
- 1.5. შეფასების ფორმები შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე შეფასების კომპონენტისაგან (წერიტი, ზეპირი, პრაქტიკული და ა.შ.).
- 1.6. დასკვნითი გამოცდის ჩაბარების მოთხოვნაა მაქსიმალური ქულის მინიმუმ 50%-ის მიღება. იმ შემთხვევაში, თუ დასკვნითი გამოცდა შედგება ერთზე მეტი შეფასების კომპონენტისგან, სტუდენტმა უნდა მიიღოს თითოეული შეფასების კომპონენტის მაქსიმალური ქულის მინიმუმ 50% რათა გამოცდა ჩაბარებულად ჩათვალოს.

ცვლილება №44 დამტკიცებული 2016 წლის 26 თებერვლის აკადემიური საბჭოს №07/16 ოქმით

- 1.7. სტუდენტი, რომელმაც ვერ მიიღო დასკვნითი გამოცდის ჩაბარებისათვის დადგენილი მინიმალური ქულა, მაგრამ შეაფასების კომპონენტების ერთობლიობით (ქვიზი, შუალედური გამოცდა, პრეზენტაცია) უგროვდება 41 ქულა და ზევით, დაიშვება დამატებით გამოცდაზე.
- 1.8. სტუდენტი, რომელმაც მიიღო დასკვნითი გამოცდის ჩაბარებისათვის დადგენილი მინიმალური ქულა, მაგრამ ვერ დააგროვა 51 ქულა, მაგრამ დააგროვა მინიმუმ 41 ქულა, დაიშვება დამატებით გამოცდაზე.
- 1.9. თუ სტუდენტი მე-7 ან მე-8 პუნქტის მიხედვით დაიშვება დამატებით გამოცდაზე, მას აქვს უფლება გადააბაროს დასკვნითი გამოცდის ერთი ან რამდენიმე კომპონენტი. ფინალური ნიშნის ფორმირებისას გამოყენებული იქნება თითოეული კომპონენტის უკანასკნელი შეფასება.
- 1.10. დამატებითი გამოცდა დაუშვებელია ჩატარდეს ძირითადი გამოცდის ჩატარებიდან 10 დღეზე ადრე. გამოცდაზე გასვლის მსურველმა განცხადებით უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგების გამოქვეყნების დღე ითვლება პირველ დღედ.
- 1.11. კომპონენტში სტუდენტის შეფასებისას საბოლოო ქულა მრგვალდება მთელ რიცხვამდე. ხუთი მეათედი ან ხუთი მეასედი მრგვალდება მეტობით.

2. კურაციული სწავლება

კურაციული სწავლება წარმოადგენს საკონტაქტო დატვირთვას, რომელიც ლექციასთან და/ან სემინართან ერთად ასევე მოიცავს პრაქტიკულ სწავლებებს კლინიკური გარემოში და ორგანიზებულია არა სემესტრულად, არამედ კურაციული პრაქტიკის დღეების მიხედვით. კურაციული სწავლების ხანგრძლივობა განისაზღვრება მასზე გამოყოფილი კრედიტების მიხედვით, რაც შეიძლება იყოს ერთიდან 30 კრედიტამდე. კურაციის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ სასწავლო სემესტრს. კურაციის დასკვნითი გამოცდა ინიშნება უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულ საგამოცდო კვირებში (მე-8 ან მე-17). დასკვნითი გამოცდის აღდგენა დაიშვება, ხოლო კურაციის შეფასების სხვა ფორმები აღდგენას არ ექვემდებარება.

2.1. კურაციული სწავლების საათობრივი გადანაწილების განრიგი:

კურაციის ერთ დღეში არის 5 საკონტაქტო საათი, რომელიც შედგება ლექციის და/ან სემინარისგან და პრაქტიკული სწავლებისგან კლინიკურ გარემოში. კურაციული საგნის ერთი კრედიტი გულისხმობს 25 საათს, გადანაწილებულს სამ კურაციის დღეზე და ფინალურ გამოცდაზე. ქვემოთ ცხრილში მოცემულია კრედიტების მიხედვით კურაციული საგნების საათების გადანაწილების მოდელი:

კრედიტი (ECTS)	კურაციის დღე	ყოველდღიური საკონტაქტო საათების გადანაწილება (მოდელი)			რეფერატის მომზადება/ ჩაბარება	გამოცდის მომზადება და ჩაბარება	დამოუკიდებელი მეცადინეობა	სულ
		ლექცია	სემინარი /პრაქტიკული/ ლაბორატორიული სამუშაო	სამუშაო პრაქტიკა				
1	3	2	4	4	5	5	5	25
2	6	5	10	10	5	10	10	50
3	9	8	16	16	10	15	10	75
4	12	11	22	22	10	15	20	100
5	15	14	28	28	10	15	30	125
6	18	17	34	34	15	20	30	150
7	21	20	40	40	15	20	40	175
8	24	23	46	46	15	20	50	200
9	27	26	52	52	20	25	50	225
10	30	29	58	58	20	25	60	250
11	33	32	64	64	20	25	70	275
12	36	35	70	70	20	25	80	300

ცვლილება №44 დამტკიცებული 2016 წლის 26 თებერვლის აკადემიური საბჭოს №07/16 ოქმით

13	39	38	76	76	20	25	90	325
14	42	41	82	82	20	25	100	350
15	45	44	88	88	20	25	110	375
16	48	47	94	94	20	25	120	400
17	51	50	100	100	20	25	130	425
18	54	53	106	106	20	25	140	450
19	57	56	112	112	20	25	150	475
20	60	59	118	118	20	25	160	500
21	63	62	124	124	20	25	170	525
22	66	65	130	130	20	25	180	550
23	69	68	136	136	20	25	190	575
24	72	71	142	142	20	25	200	600
25	75	74	148	148	20	25	210	625
26	78	77	154	154	20	25	220	650
27	81	80	160	160	20	25	230	675
28	84	83	166	166	20	25	240	700
29	87	86	172	172	20	25	250	725
30	90	89	178	178	20	25	260	750

2.2. კურაციული სწავლების შეფასების სისტემა:

2.2.1. კურაციული სისტემით სწავლებისას სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება შემდეგი სისტემით:

#	შეფასების კომპონენტი	მაქსიმალური შეფასება
1	ყოველდღიური შეფასება შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე შეფასების კომპონენტისგან (წერიტი ქვიზი, ზეპირი გამოკითხვა, პრაქტიკული მუშაობის შეფასება და ა.შ.)	50 ქულა
2	რეფერატი ან სხვა აქტივობა, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს პრეზენტაციას	20 ქულა
3	დასკვნითი გამოცდა	30 ქულა

2.2.2. ყოველდღიური შეფასება (50 ქულა)

2.2.2.1. წერიტი (ქვიზი)

წერიტი ქვიზების საშუალებით ფასდება სტუდენტის მიმდინარე თეორიული მასალის ათვისება. ქვიზი არ ექვემდებარება აღდგენას.

2.2.2.2. კლინიკური პრაქტიკის ყოველდღიური შეფასება

სტუდენტის მენტორი/პრაქტიკის კურატორი აფასებს სტუდენტის მიერ სამუშაო პრაქტიკის კომპონენტში აქტივობას და წინსვლას.

კლინიკურ პრაქტიკის დროს სტუდენტის მიმართ არის შემდეგი მოთხოვნები:

- სამუშაო პრაქტიკაზე მოვიდა დროულად და არის შესაბამისად მომზადებული;
- აქტიურად მონაწილეობს პრაქტიკის მსვლელობაში, ჩართულია განხილვებსა და დისკუსიებში, სვამს რელევანტურ შეკითხვებს;
- სწორად ასრულებს დავალებებს და მითითებებს;

ცვლილება №44 დამტკიცებული 2016 წლის 26 თებერვლის აკადემიური საბჭოს №07/16 ოქმით

- სამუშაო პრაქტიკის თემატიკის მიხედვით ახდენს კლინიკური უნარების ათვისებას და შემდეგ დემონსტრირებას;
- არის კორექტული კოლეგების, სამედიცინო პერსონალის, პაციენტებისა და მათი ახლობლების მიმართ;

სტუდენტის აქტივობის შეფასება	
სტუდენტის მუშაობა სრულად შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს	100%
სტუდენტის მუშაობა ძირითადად შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს; არის მცირე ხარვეზები რომლებთან დაკავშირებითაც სტუდენტმა მიიღო მითითება;	75%
სტუდენტის მუშაობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ სტუდენტმა მიიღო მნიშვნელოვანი შენიშვნები ხარვეზებთან დაკავშირებით;	50%
სტუდენტი მონაწილეობს სამუშაო პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ხარვეზებით; იღებს ხშირად შენიშვნებს, არ ზრუნავს მათ გამოსწორებაზე;	25%
სტუდენტი არ გამოცხადდა, ან მისი მონაწილეობა სამუშაო პრაქტიკაში არ არის დამაკმაყოფილებელი.	0%

2.2.3. რეფერატი ან სხვა აქტივობა, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს პრეზენტაციას

რეფერატი, ნაშრომი რომელიც სრულდება სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად ან გუნდურად. შესაძლოა გულისხმობდეს პრეზენტაციას, რომელიც შედგება კურსის ბოლო დღეს.

2.2.3.1. რეფერატის შეფასების კრიტერიუმები

დახასიათება	შეფასება
სტუდენტი სრულად ფლობს საჭირო ინფორმაციას, მსჯელობა თანმიმდევრული და ლოგიკურია, დასკვნები დასაბუთებულია	100%
სტუდენტი ფლობს საჭირო ინფორმაციის მნიშვნელოვან ნაწილს, მსჯელობა საკმარისად თანმიმდევრული და ლოგიკურია, დასკვნები დასაბუთებულია	75%
სტუდენტი ნაწილობრივ ფლობს საჭირო ინფორმაციას, მსჯელობა მეტნაკლებად თანმიმდევრული და ლოგიკურია, დასკვნები მეტ დასაბუთებას საჭიროებს	50%
სტუდენტის ინფორმაცია მოცემულ საკითხზე მწირია, მსჯელობა არათანმიმდევრული და ნაკლებად ლოგიკურია, დასკვნები დაუსაბუთებელია	25%
სტუდენტი არ ფლობს საკითხს	0%

2.2.3.2. პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები

დახასიათება	შეფასება
შინაარსი არის თანმიმდევრული, ნათლად, ლაკონურად ჩამოყალიბებული და კარგად ორგანიზებული. წარმოდგენილია შემოქმედებითად და ორიგინალურად, ადვილია ძირითადი საკითხებზე თვალის მიდევნება, გადასვლები საკითხებს შორის გამართულია. პრეზენტაციის გაფორმება და დიზაინი შთამბეჭდავია. პრეზენტატორი გამოირჩევა აუდიტორიის ყურადღების მართვის უნარით, პრეზენტაბელურობით, ამყარებს თვალის კონტაქტს და ადეკვატურად იყენებს ვესტიკულაციას.	100%

ცვლილება №44 დამტკიცებული 2016 წლის 26 თებერვლის აკადემიური საბჭოს №07/16 ოქმით

<p>შინაარსი არის მეტწილად თანმიმდევრული, ნათლად, ლაკონურად ჩამოყალიბებული და ნორმალურად ორგანიზებული. წარმოდგენილია მარტივად და აღქმადია, გადასვლები საკითხებს შორის გამართულია. პრეზენტაციის გაფორმება და დიზაინი მისაღებია. პრეზენტატორი გამოირჩევა აუდიტორიის ყურადღების მართვის უნარით, პრეზენტაბელურობით, ამყარებს თვალების კონტაქტს და ადეკვატურად იყენებს ჟესტიკულაციას</p>	<p>75%</p>
<p>პრეზენტაციის შინაარსი ნათელია და მოკლეა, თუმცა მთლიანობაში გარკვეული საკითხები ბუნდოვანია. თემატიკა ორგანიზებულია ადეკვატურად, თუმცა სუსტია. გადასვლები საკითხებს შორის სუსტია, რთულია ყველაფრის აღქმა და გაგება. ადეკვატურად წარმოადგენს შინაარსს, დიზაინი სუსტია. წარდგენის უნარი ადეკვატურია, სუსტია ჟესტიკულაციისა და თვალების კონტაქტის გამოყენების უნარი მეტი სიცხადისთვის</p>	<p>50%</p>
<p>მეტწილად არ არის ნათლად ჩამოყალიბებული შინაარსი, თუმცა პრეზენტაცია ტექნიკურად გამართულია. გადასვლები საკითხებს შორის სუსტია, თუმცა მისაღები, ნაკლებად იყენებს თვალების კონტაქტს აუდიტორიასთან, სუსტია აუდიტორიის მართვის უნარი</p>	<p>25%</p>
<p>პრეზენტაციის შინაარსი ბუნდოვანია, ტექნიკურად გაუმართავია. წარმოდგენმა არ ფლობს საკითხს/ვერ მოახდინა საკითხის გადმოცემა</p>	<p>0%</p>

2.2.4. დასკვნითი გამოცდა

- დასკვნით გამოცდის წარმატებით ჩაბარება არის კურსის დაძლევის აუცილებელი პირობა.
- კურსის დასკვნითი გამოცდა ტარდება კურსის დასრულების შემდეგ, უნივერსიტეტის მომდევნო საგამოცდო კვირაში (სემესტრის მე-8 ან მე-17 კვირას).
- დასკვნითი გამოცდა შეიძლება მოიცავდეს წერით გამოცდას და/ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასებას.

წერითი კომპონენტი

- წერითი გამოცდა შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე შეფასების მეთოდისგან (ტესტი ღია ან დახურული კითხვებით, თემა; განსაზღვრება; ამოცანა; ფორმულა, ასევე მისი გამოყვანა; შემთხვევის (კაზუსის, ქეისის) განხილვა და ა.შ.).
- იმისათვის, რომ გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვალოს, სტუდენტმა უნდა მოაგროვოს წერითი კომპონენტის მაქსიმალური შეფასების მინიმუმ 50%.

პრაქტიკული უნარ-ჩვევების კომპონენტი

პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოცდაზე სტუდენტი ასრულებს სამ ან მეტ დავალებას, რომელთაგან თითოეული შეფასდება შემდეგი სისტემით:

შესანიშნავი სტუდენტი სრულყოფილად ართმევს თავს ამოცანებს, ქცევა შეესაბამება პროფესიულ სტანდარტებს, პროცედურების შესრულებისას ავლენს საჭირო პრაქტიკულ უნარებს.	100%
კარგი სტუდენტი ართმევს თავს ამოცანებს, ქცევა შეესაბამება პროფესიულ სტანდარტებს, პროცედურების შესრულებისას ავლენს საჭირო პრაქტიკულ უნარებს მცირე ხარვეზებით.	75%
დამაკმაყოფილებელი სტუდენტი დამაკმაყოფილებლად ართმევს თავს ამოცანებს, ქცევა შეესაბამება პროფესიულ სტანდარტებს, ავლენს საჭირო პრაქტიკულ უნარებს პროცედურების შესრულებისას.	50%
არადამაკმაყოფილებელი სტუდენტის მიერ დავალებების შესრულებაში დაშვებულია მნიშვნელოვანი შეცდომები, უჭირს დამოუკიდებლად პროცედურების შესრულება	25%
ჩაჭრა სტუდენტი ვერ ახერხებს საჭირო უნარების დემონსტრირებას	0%

- საგამოცდო დავალებები პირდაპირ კავშირში უნდა იყოს კურსის მიზნებთან, სწავლის შედეგებთან და შინაარსთან.
- სტუდენტის მუშაობის უფრო ზუსტად შესაფასებლად შესაძლებელია კონკრეტული კურსის ფარგლებში სპეციფიკური ჩექლისტების შემუშავება.
- იმისათვის, რომ გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვალოს, სტუდენტმა უნდა მოაგროვოს კლინიკური უნარების კომპონენტის მაქსიმალური შეფასების მინიმუმ 50%.